საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სტუდენტთა მე-80 საერთაშორისო კონფერენცია

მაგისტრანტი: ელენა დარჯანია

ხელმძღვანელი: ლადო ვარდოსანიძე

თბილისი

2012

ურბანული ინდიკატორები: საქართველოს გამოცდილება

აბსტრაქტი

ურბანული განვითარების მენეჯმენტი საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გამოწვევა გახდა (კოჰენი 2006, გვ.78). ქალაქების უკონტროლო და დაუგეგმავი ზრდისა და გაფართოების (sprawl) შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული რისკი. საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, გონიერი და მდგრადი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი გახდა ქალაქების განვითარების მონიტორინგი, რისთვისაც იყენებენ ურბანული ინდიკატორების სხვადასხვა სისტემებს. გაეროს მიერ 2006 წელს გამოშვებული ურბანული ინდიკატორების გზამკვლევი წარმოადგენს ინდიკატორების უნივერსალურ სისტემას, თუმცა, მიზანშეწონილია ყოველი ქალაქისა და ქვეყანისთვის საკუთარი სისტემის ჩამოყალიბება. 2012 წელს საქართველო შეუერთდა ინდიკატორების შეგროვების პროგრამას გაეროს ურბანული ინდიკატორების სისტემის მიხედვით. წინამდებარე ნაშრომში, ერთის მხრივ, წარმოდგენილია ამ საკითხზე საქართველოს გამოცდილება, არსებულ პრობლემები და გამოწვევები და, მეორეს მხრივ, ინდიკატოების სისტემის გამოყენების აუცილებლობა, უპირატესობები და შეგროვებული მონაცემების შემდგომი პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

დაკვირვების საჭიროება

ქალაქის რესურსების და მიმდინარე პროცესების აღწერისა და მათზე დაკვირვების მნიშვნელობას, ვფიქრობ, ძალიან კარგად გამოხატავს შემდეგი სამი პრინციპი, რომელიც,რეკომენდებულია, გაითვალისწინოს ადგილობრივმა და ეროვნულმა ხელისუფლებამ გარეშე ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების წინაშე სტაბილურობისა და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით:

„1. იყავით ცვლილებების მოლოდინში; ამისთვის გაითვალისწინეთ რესურსები და შესაძლებლობები;

2. დაუყონებლივ მიაქციეთყურადღება ცვლილებების პირველსავე ნიშნებს მათი გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3. გამოავლინეთ ცვლილებების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე ჯგუფები და განსაზღვრეთ საჭირო საკომპენსაციო ზომები.“[1]

ამდენად, სხვადასხვა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობას განსაზღვრავს სიტუაციის შეფასების ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პირველადი მონაცმების სიზუსტეზე. დღესდღეობით, ინფორმაციული პირამიდა ოთხი ძირითადი საფეხურისგან შედგება, ესენია - პირველადი მონაცემები, სტატისტიკა, ინდიკატორები, ინდექსები.



დღევანდელი მდგომარეობით, სტატისტიკური საქმიანობის წარმოება, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფუნქცია. ასევე, აღნიშნულ სამსახურს ევალება საქართველოს საყოველტაო აღწერის ჩატარება.

გაეროს ურბანული ინდიკატორების სისტემა

გაეროს მიერ შემუშავებული 42 ურბანული ინდიკატორი დაყოფილია ხუთი ძირითადი თემის მიხედვით: საცხოვრისი, სოციალური განვითარება და სიღარიბის აღმოფხვრა, ეკონომიკური განვითარება, გარემოს მართვა, მმართველობა. ინდიკატორები მოიცავს როგორც სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე კითხვარებს, ექსპერტების დასკვნებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდიკატორები დაყოფილია ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული დონეების მიხედვით.

[1]თანამედროვე ურბანული განვითარება, ნაწილი პირველი, გვ.50, თბილისი 2007

ამ სისტემით მონაცემებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აგროვებენ. თითოეულ ქალაქს აქვს საკუთარი ადგილობრივი ურბანული ობსერვატორია (LUO), რეგიონს - რეგიონალური ურბანული ობსერვატორია (RUO) და ქვეყანას - ეროვნული ურბანული ობსერვატორია (NUO). შეგროვებბული მონაცემები გადაეცემა გაეროს და პერიოდულად ქვეყნდება ოფიციალურ საიტზე და პუბლიკაციის სახით. 2010 წელს გამოშვებულ ანგარიშში - "მსოფლიო ქალაქების მდგომარეობა" მთავარი თემა იყო ურბანული "დაყოფის" გამთლიანება (Bridging the urban divide).

საქართველოს გამოცდილება

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2002წელს ჩატარდა. გაეროს რეკომენდაციით, საყოველთაო აღწერების ჩატარების პერიოდი სასურველია განისაზღვროს 10 წლის ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ (2009) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების პირიოდულობას არ განსაზღვრავს. თუმცა, ამ კანონის 22-ე მუხლის თანახმად, აღწერის ორგანიზებისა და მეთოდურ დებულებათა პროექტების, მისიმასალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის შემოწმებისა და აღწერისმომზადებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ სპეციალისტთა სწავლებისმიზნით ძირითად აღწერას 2–2,5 წლით უსწრებს საცდელი აღწერა.“ [2]

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე საცდელი აღწერის ჩატარების შესახებ, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. თუმცა, 2012 წლის 5 იანვარს, მედიაში გაშუქდა აღნიშნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ინტერვიუ, რომელის მიხედვით სამომავლო საყოველთაო აღწერა დაგეგმილია 2013 წლისთვის.[3]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურს აქვს დამუშავებული სამომავლო აღწერის კითხვარის პროექტი. სოციალური საცხოვრისის თემატიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობას იძენს საცხოვრისის პირობების ზუსტი და მრავალმხრივი აღწერა. ამ მიზანს ემსახურება პროექტის კითხვარის საწყისი ფორმა - ინფორმაცია საცხოვრისის შესახებ (იხ. დანართი), რომლის მოკლე ანალიზსს ქვემოთ გთავაზობთ:

1. აღნიშნულიფორმის პირველი კითხვა ეხება საცხოვრისის ტიპის დადგნას, თუმცა, პასუხების ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი: სასურველია, უფრო

[2] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=3942
[3] http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=55504&Itemid=1

კონკრეტულად განისაზღვროს საცხოვრისის ტიპები, როგორიცაა „ინდივიდუალური სახლი“ , რომელიც შეიძლება იყოს ცალკე მდგომი (detached), ასევე მიჯრით (attached). „იზოლირებული ბინა“ - სასურველია იყოს მითიტებული სახლის სართულიანობა, მაგ. 4-5 სართული (ე.წ. „ხრუშჩოვკა“) 6-9-სართულიანი, 10-16 სართულიანი, 16 და მეტი სართულით. სასურველია ცალკე იყოს გამოყოფილი საცხოვრისის ისეთი ტიპი, როგორიცაა „კონტეინერი/ფურგონი“;

2. საცხოვრისის არმქონე პირებისთვის არის ცალკე გამოყოფილი გრაფა „უსახლკარო“;
3. პროექტის მეორე შეკითხვა ეხება საცხოვრისის აშენების პერიოდის დადგენას. ჩამონათვალში მოცემული პასუხები აღებულია 1961 წლიდან, რაც, ვფიქრობ, არ არის მართებული საქართველოში არსებული გაცილებით ძველი საბინაო ფონდის დიდი მოცულობის გამო (გადავამოწმო 2002 წლის მონაცემები!) შემდგომი ორი პერიოდი 1961-1980 და 1981-1990 მთლიანად ემთხვევა საქართველოში საბჭოთა პერიოდს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ დროს აშენებული საცხოვრისი არსებითად არ განსხვავდება. სასურველი იქნებოდა, დროის ეს მონაკვეთი იყოს დაყოფილი იმ დროს გავრცელებული სამშენებლო ტენდენციაბის პერიოდების მიხედვით მაგ., ე.წ.“ხრუშჩოვკების“ მშენებლობის პერიოდი 1950-1960 წლებში (დასაზუსტებელია!).
4. მე-6 შეკითხვის პასუხებში არ არის ჩამოთვლილი საცხოვრისის კეთილმოწყობის ისეთი მნიშვნელოვანი სახეები, როგორიცაა: ინტერნეტი, სატელევიზიო ანტენა, საკაბელო ტელევიზია, ლიფტი.
5. ფორმაში საერთოდ არ არის ნახსენები შემდეგი საკითხები:
    - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
    - საცხოვრისის შენობის სართულიანობა და ლიფტების რაოდენობა;
    - საცხოვრისის შენობის კონსტრუქციის მდგომარეობა;
    - საცხოვრისის შენობის სამეზობლო/კვარტალი (neiborghood);
    - შენობით სარგებლობა წლის განმავლობაში;
    - სათავსოები მოხმარების ტიპების მიხევით (კერძო, საერთო)
    - სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა;
    - ტუალეტის და აბაზანის ხელმისაწვდომობა და ტიპები;
    - საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა;

პროექტის მე-6 ფორმა ეთმობა დამატებითი საცხოვრისის აღწერას, თუმცა ის გულისხმობს მხოლოდ დამატებითად საკუთრებაში არსებული საცხოვრისის მისამართის მითითებას. სასურველია, დამატებითად იყოს მითითებული შემდეგი საკითხები:

- საცხოვრისის ფართობი და ოთახების რაოდენობა;
- არის თუ არა დამატებითი საცხოვრისი დაქირავებული;

- საცხოვრისის ქონის მიზეზი[4] (მემკვიდრეობა, აგარაკი (სარეკრეაციო მიზნებისთვის), ინვესტიცია, წინა საცხოვრებელი ადგილი, ქონება ვერ იყიდება)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს საყოველთაო აღწერისათვის შემუშავებული კითხვარი არ პასუხობს დასავლურ მოთხოვნებს და გაცილებით მწირ ინფორმაციას აგროვებს საბინაო სექტორზე, ვიდრე ანალოგიური კითხვარები ევროპის ან ჩრდ. ამერიკის ქვეყნებში.სიტუაციას ართულებს აღწერების პერიოდულობის დარღვევაც, მონაცემთა საერთო ბაზის არარსებობა და სახელმწიფო თუ მუნიციპალურ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის სუსტი სისტემა.

შინამეურნეობებზე დაკვირვება

შინამეურნეობაზე დაკვირვების კითხვარი დამტკიცდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2010 წლის 23 მარტის N14 დადგენილებით. შინამეურნეობის „საცხოვრებელპირობებს“აღწერსშინდა 01. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე საკვანძო საკითხი და რეკომენდაცია:

1. მე-2 შეკითხვა ეხება საცხოვრისის საკუთრების ფორმას. პასუხების ჩამონათვალში გაურკვეველია ტერმინი „უფასო სარგებლობა“, რადგან არ გამოხატავს საკუტრების ფორმას. რეკომენდებულია ჩაიწეროს ტერმინი „სოციალური/მუნიციპალური საცხოვრისი“;
2. მე-3, მე-4 და მე-5 შეკითხვები, რომელიც ადგენს გარე კედლების, იატაკის და სახურავის მასალებს შესაბამისად, ვერ აღწერს შენობის კონსტრუქციის მდგომარეობას. ამდენად, აღნიშნული საკითხები უფრო დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი შესაბამის სპეციალისტებთან ერთად;
3. მე-8 შეკითხვაში, მიზანშეწონილია იყოს ბინაში შესაძლო ოთახების სრული ჩამონათვალი (დერეფანი, ლოჯია, საკუჭნაო, მანსარდა) და ცალკე სვეტი იმ სათტავსოების აღსანიშნავად, რომლებიც მდებარეობს ეზოში (განცალკევებით მდგომი); ავტოფარეხის გარდა ჩამონათვალში ასევე უნდა იყოს ავტოსადგომი ღია ცის ქვეშ.
4. მე-9 შეკითხვაში მიზანშეწონილია ეზოსა და უბნის განცალკევება, რადგან საკუთრების განსხვავებულ ფორმებთან გვაქვს საქმე;
5. მე-10 შეკითხვაში რეკომენდებულია პასუხების ჩამონათვალს დაემატოს ტუალეტის ცალკე ტიპი საპირფარეშო, კანალიზაციაზე მიერთებული;
6. მე-11 შეკითხვის ცხრილში უფრო კონკრეტულ ჩამონათვალს საჭიროებს მე-2 პუნქტი - ცხელი წყლის ინდივიდუალური სისტემა (ბუნებრივ აირზე/ელექტროენერგიაზე მომუშავე). ანალოგიურად, მე-6 პუნქტი - გათბობის ინდივიდუალური სისტემა ((ბუნებრივ აირზე/ელექტროენერგიაზე მომუშავე) ორივე შემთხვევაში უნდა

[4]წყარო: ნიუ-იორკის, აშშ საბინაო აღწერა.

განვასხვაოთ ინდივიდუალური ცენტრალიზებული სისტემები და წერტილოვანი მოწყობილობები.

7. მე-11 ცხრილს მიზანშეწონიალია დაემატოს საკაბელო ტელევიზია.
8. მე-14 შეკითვა ეთმობა დამატებითი საცხოვრისის აღწერას, თუმცა ის გულისხმობს მხოლოდ დამატებითად საკუთრებაში არსებული საცხოვრისის რაოდენობის და ფართობის მითითებას. სასურველია, დამატებითად იყოს მითითებული შემდეგი საკითხები:
   - საცხოვრისის ადგილმდებარეობა;
   - არის თუ არა დამატებითი საცხოვრისი დაქირავებული;
   - საცხოვრისის ქონის მიზეზი[5] (მემკვიდრეობა, აგარაკი (სარეკრეაციო მიზნებისთვის), ინვესტიცია, წინა საცხოვრებელი ადგილი, ქონება ვერ იყიდება)
9. კითხვარის „ბ“ ნაწილის მე-18 შეკითხვა დასმუსლია შემდეგნაირად: „დაასახელთ მიწის ნაკვეთები, რომელსაც თქვენ უვლით“. აღნიშნული ფორმულირების შინაარსი გაურკვეველია და საჭიროებს დაკონკრეტებას: სად მდებარეობს შინამეურნეობის მფლობეობაში არსებული ნაკვეთი. ასევე, დასადგენია მიწის კატეგორია (სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო- სამეურნეო) აქტივობის ფორმა და ამის მიზეზი.

მართალია, შინდა 01 საკმაოდ ვრცელი კითხვარია, თუმცა ის არ აღწერს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს როგორიცაა:

- უსახლკაროები;
- საცხოვრისის შენობის სართულიანობა და ლიფტების რაოდენობა;
- საცხოვრისის შენობის კონსტრუქციის მდგომარეობა;
- საცხოვრისის შენობის სამეზობლო/კვარტალი (neiborghood);
- შენობით სარგებლობა წლის განმავლობაში;
- სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა;
- საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა;

ურბანული ინდიკატორები საქართველოსთვის

ურბანული ინდიკატორების შეგროვების პროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2012 წელს დაიწყო. ინდიკატორების კრებული ითრგმნა, თუმცა იყიო რიგი საკითხებისა, რომლების ადაპტირება იყო საჭირო. შემდგომ გამოვლინდა ის უწყებები და სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ამა თუ იმ ინფორმაციის შეგროვებაზე. ცალკე შედგა კითხვარი ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაგზავნად.

[5]წყარო: ნიუ-იორკის, აშშ საბინაო აღწერა.